საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/1

ქ.თბილისი

„03" თებერვალი 2016 წ.

„რადიოელექტრონული და მაღალსიხშირული მოწყობილობების სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების, განთავსებისა და შესაბამისობის შეფასების (სერტიფიცირების) ტექნიკური რეგლამენტის პროექტის" ახალი რედაქციის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში-„კომისია") მიმართ მინიჭებული ფუნქციებისა და დაკისრებული ვალდებულებების, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნათა განხორციელების ორგანიზების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „რადიოელექტრონული და მაღალსიხშირული მოწყობილობების სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების, განთავსებისა და შესაბამისობის შეფასების (სერტიფიცირების) ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომში-„ტექნიკური რეგლამენტი") პროექტის ახალი რედაქციის შემუშავების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერაბ ქათამაძე - კომისიის წევრი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) რევაზ სვანიძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;

გ) მზია გოგილაშვილი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ) არჩილ მაკარიძე - ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასაშტატო სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) ქეთევან რეხვიაშვილი - სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) ქეთევან გუნიავა - მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ზ) ზურაბ გუძუაძე - რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი ინჟინერი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს შემდეგი სახის ღონისძიებების განხორციელება:

ა) ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის კომისიისათვის წარდგენა;

ბ) „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით" დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს დირექტივების გათვალისწინებით ტექნიკური რეგლამენტის პროექტის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე რადიოლექტრონული და მაღალსიხშირული აპარატურის დაშვების, განთავსების პირობები და მოთხოვნები, ასევე სერტიფიკაციასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზაციისა და კოორდინაციის წესები და პროცედურები;

გ) სამუშაო ჯგუფისათვის ამ ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადაში ტექნიკური რეგლამენტის პროექტის კომისიისათვის წარდგენა,;

დ) ტექნიკური რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში, საჭირო ღონისძიებების კოორდინაცია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, საქართველოს თავდაცვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროებთან.

ე) სამუშაო ჯგუფის მიზნების ფარგლებში საერთაშორისო კოორდინაცია;

3. ამ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 01 ივლისამდე პერიოდი;

4. ბრძანება ძალში შევიდეს კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N 6) ერთი თვის ვადაში.

6. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამუშაო ჯგუფის მდივანს რევაზ სვანიძეს.

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**